

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო
ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან
დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ

საქართველოს მთავრობა და რუსეთის ფედერაციის მთავრობა (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ხელშემკვრელი მხარეები“) ერთობლივად თანხმდებიან, ხელშემკვრელ მხარეებს შორის რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებასთან დაკავშირებული ორმხრივი მოლაპარაკებების ფარგლებში დაარსონ პირველ დანართში წინასწარ განსაზღვრულ სავაჭრო დერეფნებში შემავალი ან დერეფნებიდან გამავალი მთელი სავაჭრო საქონლის საბაჟო ადმინისტრირებისა და მონიტორინგის მექანიზმი.

ხელშემკვრელი მხარეები,

გამოთქვამებ სურვილს რა, განავითარონ ვაჭრობა და ამავდროულად, გამოიყენონ საბაჟო ადმინისტრირებისა და სავაჭრო ბრუნვის მონიტორინგის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკა, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (მსო) სტანდარტების მიხედვით,

მიუთითებენ რა, ”საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 1994 წლის 3 თებერვლის შეთანხმებაზე და ყველა შესაბამის შეთანხმებაზე, რომლებიც განსაზღვრავენ თავისუფალ სავაჭრო ზონას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების (GATT 1994) 24-ე მუხლის მნიშვნელობით,

მხედველობაში იღებენ რა, ვმო-ს შესაბამის შეთანხმებებს, რომლის მიხედვითაც ვმო-ს წევრები, ვაჭრობასთან დაკავშირებული ტარიფებისა და სხვა დაბრკოლებების არსებითი შემცირებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრის მიზნით, ახორციელებენ ორმხრივ და საერთო სარგებლის მიღებაზე დამყარებულ ღონისძიებებს და ასევე მხედველობაში იღებენ სხვადასხვა მუხლებს, მათ შორის ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების (GATT 94) I, II, III, VIII, X, XXIV მუხლებს, და სავაჭრო ასპექტებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ შეთანხმების (TRIPS) მესამე ნაწილს, და ვმო-ს დოპა-ს რაუნდის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს, განსაკუთრებით ვაჭრობის ხელშეწყობისა და არასატარიფო ბარიერების სფეროში,

აღიარებენ რა, რუსეთის ფედერაციის ვმო-ში გაწევრიანების შესაძლებლობას, როგორც საშუალებას სავაჭრო მონაცემების გამჭვირვალობის გაუმჯობესებისთვის